# ივერია

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

გაზეთი ღირს

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1893 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


აზნაური **ივანე დავითის ძე პავლივი** და კნეინა **მარიამ ივანეს ასული ჯანდიერისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას, პირველი თავის დისა და მეორე თავის დისწულის, **ბარბარე დავითის ასულის პავლიევისას** და სთხოვენ, მობრძანდნენ მარტის 12, დილის ათ საათზედ, გვამის გამოსვენებაზედ ბაგრატიონის ქუჩაში, თავის საკუთარი სახლიდგან. პანაშვიდი იქმნებ ხუთშაბათს, 11 მარტს, დილის თორმეტს საათზედ და საღამოს შვიდს საათზედ.

## საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა,** და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების საავენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ და ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—4) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 აპრილიდამ წლის დამლევამდე, ფასი 8 მან. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

მეორე წარმოდგენა ეფ. მესხისა და კოტე მესხის

მონაწილეობით

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 11 მარტს,

მ. მ. საფაროვის გამგეობით

ქართული თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

ახალი პიესა

### ლანგ-თემურ
ანუ
### სამშობლოს სადიდებლად

ტრაგედია 4 მოქმედ. კ. მესხისა

(სიუჟეტი გადმოღებულია)

ლანგ-თემურის როლს აასრულებს
**კ. მესხი**

საბერძნეთის დედოფლის ანნას როლს
**ეფ. მესხი**

ამ პიესაში მონაწილეობას მიიღებს არა ნაკლებ 50 კაცისა

პიესისათვის შეკეთილია ახალი მეირფასი ტანთსაცმელი

დასასრულ

მშვენიერ ელენეს მაძიებელნი

ფარსი 2 მოქმედ. გადმოკ. ა. ცაგარლისა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

რეჟისორი გ. აბაშიძე

ადგილების ფასი საოპერეტოა

**დასაწყისი სწორედ 8 საათზედ**

ბილეთები ისყიდება ამ თავითვე კასაში, ყოველ დღე, დილის 10 საათიდამ.

გამგეობა მ. მ. საფაროვისა

ანონსი: მზადდება შემდეგი პიესები: დალილა, ორი ობოლი, ოტელო და სხვ.

## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში პეტერბურგს მიდის დირექტორი ტფილისის სათავადაზნაურო ბანკისა თ. დ. ავალიშვილი, რომელსაც მინდობილი აქვს სხვა-და-სხვა საქმეები ბანკისა და უმთავრესად შუამდგომლობა და მოწყობა საქმისა კონვერსიის შესახებ.

*** ამ წლის 1 მაისიდგან პეტერბურგ—ოდესას შორის სწრაფი მიმოსვლა დაიწყება. პეტერბურგიდგან კვირაობით 9 საათზედ გამოვა მატარებელი და 48 საათის განმავლობაში ოდესას მივა. ოდესაშიაც სწორედ ამ დროსთვის საგანგებოდ იქმნება დამზადებული გემი, რომელიც ოდესიდგან გამოვა სამშაბათს საღამოთი, შვიდლის სევასტოპოლში, იალტაში და ბათუმს პარასკევს დილით მივა. ამ დილითვე ბათუმიდგან გამოდის რკინის გზის მატარებელი და საღამოთი ტფილისს ჩამოდის. ამ გვარად პეტერბურგიდგან ტფილისამდე ჩამოსვლა ხუთის დღის განმავლობაში შეიძლება.

*** გუბერნატორის თხოვნით, ტფილისის საოლქო სასამართლოს საერთო კრებამ გარდასწყვიტა: თუ ხოლერა გაჩნდა, ყველა მოსამართლე ვალდებულია საჩქაროდ გაარჩიოს სასანიტარო დასის იერ შედგენილი პროტოკოლები ეზოებისა თუ სახლების უსუფთაობის გამო. ამ გვარი საქმეები გაირჩევა თანხმად 102 მუხ. იმ სასჯელთა, რომელთაც განუწესებენ მომრიგებელნი მოსამართლენი.

*** ყვირილა; 7 მარტს, როდესაც სახალხო მატარებელი იდგა სადგურთან, მესამე კლასის ბუფეტში ნესტორ ჩიკვაიძემ ბოთლი დაარტყა თავში და ხანჯლით დასჭრა მკლავში კონდუქტორი ვასილ ალიმოვი. ფელშარმა უწამლა დაშავებულს, ხოლო დამნაშავე პოლიციას გადასცეს.

*** გორი: 7 მარტს, ღამის 9 საათზე სახალხო მატარებლის № 1 ქვეშ ჩავარდა გორის მაზრის სოფელ მეტეხის მცხოვრები გაბრიელი ფილიშვილი და თავი ძრიელ დაუშავდა· დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გამოგზავნეს.

*** თუ მომავალ ზაფხულს ხოლერა გაჩნდა, ტფილისის გუბერნიის მკურნალს შეუძლიან ივალოს საერო გარდასახადთა თანხიდგან 5,000 მანათი ხოლერასთან საბრძოლველად (Нов. Обозр.).

*** 7 მარტს შესწყდა სწავლა ხონის საოსტატო სემინარიაში (Т. Л.).

*** შაბათს, 6 მარტს, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის კრება მოხდა, ბ-ნ მედვედიევის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა მოხსენება შესახებ იმისა, რომ ქუთაისში დაარსდეს საფილოქსრო სადგური. ამ სადგურთან იქმნება გაშენებული ბაღი. სადგურის ადგილისა და შენობის შესაძენად, საჭიროა 80,000 მანათი. საქმის საწარმოებლად და რიგიანად მოსაწყობად 24,000 მანათი მაინც დაიხარჯებაო.

გარდა ამისა ქუთაისის საფილოქსერო კომიტეტი აპირებს ნარდათ აიღოს ქუთაისის ოლქში 6 დღიური ვენახი და თვითონ შეიმუშაოს თანხმად სამეცნიერო მეურნეობისა. ამ რიგად კომიტეტი გამოსცდის თავის ძალღონეს ფილოქსერის წინააღმდეგ საბრძოლველად (Нов. Обоз.).

*** 8 მარტს, ახალ გოლანდიაში გიგო გოლაძე წაეჩხუბა ვასილ მაისურაძეს და დანით დასჭრა მარცხენა ფეხში. დაჭრილი საავადმყოფოში გაჰგზავნეს და დამნაშავეს ეძებენ.

## მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა დროებით—ოთხის თვის განმავლობაში საზღვარ გარედ სამკურნალოდ, დაღესტნის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი თავადი ჭავჭავაძე. სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნენ: შინაურ საქმისა გამო, გუმბრის მაზრის უფროსად ნამყოფი გვარდიის პოლკოვნიკი დადიანი და ქუთაისის მე-16 გრენადერის პოლკის კაპიტანი დარეჯანაშვილი;—ორივეს მიეცა პენსია და მუნდირის ტარების ნება.

ნადვორნი სოვეტნიკობა მიეცა უუბანის ოლქის სამხედრო ექიმს, კოლეჟსკი ასესორს მასვენტოვს. გადაყვანილ იქმნენ: პოლიციის ბოქაულის თანაშემწის აღმასრულებელნი, თელავის მაზრისა: ყვარელის საბოქაულოსი—გორნეტი თავად ყარალაშვილი და წინანდლისა—კოლეჟსკი რეგისტრატორი იორამიშვილი—ერთი მეორის ადგილს და უმცროსი კანტროლიორი სააქციზო გამგეობის მე-VIII ოლქისა იოსებ ჯანელიძე—მე-V ოლქში. მიეცა ნადვორნი სოვეტნიკობა ბორჩალოს მაზრის უფროსს, კოლეჟსკი ასესორს თავად ალექსანდრე სუმბათიშვილს. დანიშნულ იქმნენ: ახალქალაქის სამაზრო სამართველოს შტატ-გარეშე მყოფი მოხელე ივანე ქანანაშვილი იმავე სამმართველოს რეგისტრატორად და არხივარიუსად.

## ქართული თეატრი

(„მარგარიტა გოტიე“, დრამა ა. დიუმასი)

ჩვენის გაზეთის მკითხველთ უეჭველია ეხსომებათ ჩვენს გაზეთშივე დაბეჭდილი წერილები ქუთაისიდამ ა.

---

## ფელეტონი

(ჰეინედამ)

საღამოს ჟამმა არე დაფარა,
ტალღების ქედზე ჯანღები დიან,
დიდებულ ზღვასა ღრმა ძილით სძინავს,
მის მკერდზედ ტკბილი სიზმრები
ჰკრთიან.
მაგრამ იქიდამ გასაკვირველი,
თეთრად მოსილი გამოჩნდა ქალი,
ის არის ტურფა, მეტად ლამაზი,
მძინვარე ზღვისა გაზდილი ალი;
იმის მომხიბვლელ მშვენიერებას
არ მოშორდება ერთ წამსა თვალი.
მოეიდა ჩემთან, მომიახლოვდა,
როგორაც ტოლი, როგორაც ცალი.
მის ტურფა მკერდი ადის და დადის,
იქ ღრმა გრძნობისა ეტყობა კვალი.
ხელი მომხვია, მიმიკრა გულზე,
უნდა გამწუროს, დამიდნოს ზედა.
„გულს რად მიხუთავ, ქალო ლამაზო,
რად მიკრავ ეგრე მაგრა მკერდზედა?“
„იმიტომ, ჩემო, იმიტომ კარგო,
სიცივისაგან ვკანკალებ, მხედამ?
მინდა გამათბოს შენმა სიცხოველემ,
ხელის მოხვევნას იმიტომ ვბედავ“…
მაღლიდგან მთვარე დოლონებული
მჭვუნვარო სახით თავს თაგვცქეროდა.
„თვალი გემღვრევა, გიწყლიანდება“.
ზღვისა ასულსა არა სჯეროდა:
„შენ გეჩვენება, სულ ტყუილია,
მოცრემლილია? რას ამბობ, ბეჩა,
როს ტალღებიდამ გამოვდიოდი,
მაშინ წყლის წვეთი თვალებზედ შემრჩა“…
აძრახდა გედი თავ-მომწონედა
და მხრები მძლავრად ზღვის ტალღებს დაჰკრა.
„ლამაზო ქალო, ასლულო ზღვისავ,
რად გიცემს გული საოცრად მაგრა?“
„რად მიძგერს გული ასე ძლიერად?
რას ამბობს ერთი სულელი, დახე!..
იმიტომ, კარგო, რომ ძლიერ მიყვარს,
მიყვარს უდივრად მე კაცის სახე“.

ვაჟა-ფშაველა.

### ძმა და და

(ჯავახური ლეგენდა)

ეხლანდელი სოფელი თმოგვი, რომელიც ვარძიის მონასტრის ახლოა, უწინ ქალაქად ითვლებოდა. ეს ქალაქი იმ დროს ძალიან გამაგრებული იყო თურმე: გარედგან შემორტყმული ჰქონდა დიდი, მაღალი ქვითკირის გალავანი, გალავანს ება დიდი ალაყაფის კარები, რომელიც შიგნიდგან მაგრად იყო ჩაკეტილი.

ამ ქალაქს რამდენჯერმე დაეცა სპარსეთის ყაენი შაჰ-აბაზი და, თუმცა ბევრი ეცადა, მაგრამ ვერას გზით ვერ შეუვიდა. ბოლოს ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ უშველა მას: თმოგვის დედოფალმა (იმ დროს თმოგვში ქართველი მეფე იჯდა) როგორღაც თვალი მოჰკრა შაჰ-აბაზს და ძალიან მოეწონა. სიყვარულით გატაცებულმა დედოფალმა შაჰ-აბაზს კაცი გაუგზავნა და შეუთვალა:

— დიდებულო მეფევ, უკეთუ ცოლად შემირთამ, თმოგვს აგაღებინებ, მისი გასაღები მე მაქვსო.

ეს სიტყვები რომ მოისმინა, შაჰ-აბაზს ძალიან გაეხარდა, ადგა იმ წამსვე და დედოფალს შემდეგი წერილი მისწერა:

— ღვთის ფიცს გაძლევ, რომ, ოღონდ თმოგვი ამაღებინე, და უეჭველად ცოლად შეგირთამო.

დედოფალმა ეს წერილი რომ წაიკითხა, სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა; ადგა მაშინათვე და ქალაქის გასაღები შაჰ-აბაზს გაუგზავნა და თანაც დაიბარა მასთან:

— აბა ახლა შენ იცი და შენმა სვინიდისმა… თუ არ მიღალატებო.

შაჰ-აბაზმა ამ გასაღებით გააღო თმოგვის ალაყაფის კარები, შევიდა შიგ, სულ ააოხრა ეს ქალაქი და იქიდგან მრავალი ტყვე წაასხა; დედოფალს-კი შემდეგი სიტყვები უთხრა: „შენ რომ შენ ქმარს და შენ ხალხს უღალატე, მე რაღა კეთილს დამაყრიო?! სთქვა რა ეს, მან მოაბმევინა იგი ცხენის კუდზედ და სულ ერთიანად დააჩლეჩინა.

წაყვანილ ტყვებ შორის შაჰ-აბაზი ძალიან გააკვირვა თავისის სილამაზით, საქციელით და მშვენიერის ტანადობით ერთმა ყმაწვილმა. ყაენს ისე შეუვარდა გული ამ ყმაწვილზედ, რომ თავის მოსამსახურედ გაამწესა.

დიუმას პიესის „მარგარიტა გოტიესა“ და ეფ. მესხის თამაშობის შესახებ ამ პიესაში. ჩვენცა და საზოგადოდ ჩვენის თეატრის მოყვარულნიც, გვგონია, მოუთმენლად ელოდდნენ ეფ. მესხის თამაშობის ნახვას იმ დღიდგან, როცა შევიტყეთ, რომ დიუმას დრამას „მარგარიტა გოტიესა“ ტფილისშიაც წარმოადგენენ ეფ. მესხისა და კ. მესხის მონაწილეობითაო. ვნახეთ ეს დრამა და ეფ. მესხიც მარგარიტას როლში. პიესის შესახებ, რასაკვირველია, ბევრს არას ვიტყვით, რადგანაც კარგა ვრცლად იყო დაბეჭდილი ამ პიესის შინაარსი ჩვენს გაზეთში. უფრო საინტერესოა ეფ. მესხის თამაშობა. პიესით მარგარიტა გოტიე ახალგაზდა, ლამაზი, ცქრიალა ქალია, თითქო მარტო მამაკაცთა სიამოვნებისთვის გაჩენილიაო. ახალგაზდობას და მოხუცებულებსაც ყველას მოსწონს, ყველანი გარს ეხვევიან და თვალსა და წარბში შესცქერიან. მარგარიტა უდარდელადა სცხოვრობს, სიცოცხლე მისთვის მეჯლისია და მეტი არაფერი. ასეთი უნდა იყოს მარგარიტა პირველ მოქმედებაში. ჩვენის აზრით, ამ მოქმედებაში ეფ. მესხს აკლდა ის სიმალხაზე, ის უდარდელობა, ის მომხიბლველი ეშხი, რომელიც აჯადოებს და ატყვევებს მამაკაცს.

შემდეგ, როცა მარგარიტას ერთს ახალგაზდა კაცს, არმანს (კოტე მესხი) გააცნობენ და, როცა არმანს შეატყობს, დიდი ხანია, რაც ვუყვარვარო, დაფიქრდება და თითონაც არმანის სიყვარული ჩაუვარდება გულში.

უნდა ვსთქვათ, რომ აქ ეფემია მესხმა საკმარისის ძლიერებით და მოხერხებით, საკმარისის დაფიქრებით და როლის შეგნებით დაგვიხატა სიყვარულით ახლად და ძლიერად გამსჭვალულ ყმაწვილის ქალის მდგომარეობა.

მესამე მოქმედებაში, როცა არმანის მამის თხოვნის გამო მარგარიტამ გადასწყვიტა, არმანს უნდა დავშორდეო და გამოეთხოვა კიდეც, ეს ადგილი ეფ. მესხმა დიდის გრძნობით ჩაატარა. თეატრში ბევრს ქალსა და ზოგიერთს კაცსაც-კი ცრემლი მოერია თვალებში, იმდენად სულითა და გულით, ისეთის მადლით დაგვიხატა სიმწვავე სიყვარულის უარყოფისა, სატრფოს განშორებისა და საკუთარის ბედნიერების გაწირვისა სხვათა საკეთილოდ, სხვათა საბედნიეროდ.

მეოთხე მოქმედებაში, სადაც ძლიერი დრამატიული ადგილებია, კარგი იყო ბ-ნი კ. მესხი. დასასრულ მარგარიტა ავადა ხდება და სიკვდილის წამს კიდევ ჰნახავს არმანს. ეს ადგილიც ეფემია მესხმა ურიგოდ არ ჩაატარა.

რასაკვირველია, ჯერ-ჯერობით ვიდრე სხვა პიესებში ვერა ვნახავთ, ძნელია სთქვას კაცმა, რამდენად ძლიერია, სავსე და სრული ნიჭი ამ არტისტის ქალისა, ვიდრე არა ვნახავთ უფრო ისეთ პიესაში, რომელიც ჩვენს ცხოვრებას შეეხება, და რომლის ტიპებსა და ხასიათების შეგნებას უფრო ადვილად მოახერხებს ჩვენებური არტისტი.

დიუმას პიესა საფრანგეთის ცხოვრების სურათია, და რასაკვირველია, პარიჟის კამელია ჩვენებური არტისტი ქალი ძნელად თუ მოახერხებს ყოვლად უნაკლულოდ დაგვიხატოს.

საზოგადოდ ეფ. მესხს ბევრი ძლიერ კარგი თვისება აქვს კარგის არტისტის ქალისა: სცენისთვის შესაფერი და კარგი ხმა და ჩინებული, მკაფიო გამოთქმა. დიდად სასიხარულოა, რომ ჩვენს სცენაზე ამისთანა ნიჭის პატრონი ქალი გამოჩნდა დრამატიულ როლებისათვის.

რაც შეეხება კოტე მესხს, ამ ჟამად საჭიროდ არ მიგვაჩნია იმის თამაშობაზედ ლაპარაკი, რადგანაც ტფილისის საზოგადოებას ბევრჯელ უნახავს იმის თამაშობა და კარგად იცის როგორც იმის ღირსება, ისე ნაკლიც.

## ქალაქის საბჭო

ორშაბათს, 8 მარტს, მოხდა კრება ქალაქის საბჭოსი. სხვათა შორის განსახილველი იყო წინადადება ხმოსან ნიკოლაძისა იმის შესახებ რომ საბჭოს ოქმი საექიმო ნაწილისა შესწორდეს. ეს წინადადება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სასანიტარო კომისიამ და ქალაქის გამგეობამ თებერვლის გასულს ამოარჩიეს შვიდი საბჭოს ექიმი და ეს ექიმები, ბ-ნ ნიკოლაძის აზრით, საკმაოდ ვერ შეეფერებიან თავიანთს დანიშნულებას. წინა კრებაზედ ხმ. ნიკოლაძემ სთხოვა საბჭოს, რომ ექიმების ღირსებაზედ ნურას მალაპარაკებთო, ისევ ისა სჯობია ოქმში შევიტანოთ ერთი სიტყვა „დროებითო“, ე. ი. ექიმები დანიშნულ არიან დროებით, ხოლო როდესაც მოწვეულ იქმნება სასანიტარო ინსპექტორი, იმას უფლება ჰქონდეს დაითხოვოს შეუფერებელი ექიმი და სხვა მოიწვიოსო. საბჭო არ დასთანხმდა. აი ეს წინადადება იყო მიზეზი, რომ საბჭო თითქმის აივსო ხმოსნებით და გარეშე მაყურებელი იმოდენი მოაწყდა კრებას, რომ ტევა არსად იყო. განიხილეს რა სხვადა-სხვა წვრილმანი საქმეები, ქალაქის მოურავმა სთხოვა ხმ. ნიკოლაძეს, რათა განმარტოს მან თავისი წინადადება. ხმოსანმა ვრცლად ილაპარაკა მის შესახებ, თუ რა წვალებითა და ვაივაგლახით მოახერხა საბჭომ რიგიანი მოწყობა საექიმო ნაწილისა, რამდენი წინააღმდეგობა გაუწია ამ საქმეს გამგეობამ და რა დიდი შეცდომა მოუვიდა საბჭოს, რომ გამგეობასვე მიანდო ამ საქმის პირველი განხორციელება, პირველის ბიჯის გადადგმა, რომელზედაც ხშირად დამოკიდებულია წარმატება საქმისა. როგორც მოწინააღმდეგემ ახლად შემოღებულის წესისა, ქალაქის გამგეობამ იხმარა ყოველი ღონისძიება, რომ სუსტი ხალხი მოეწვია ახალ ადგილებზედ, რათა შემდეგში თქვას, რომ ჩვენ მიერ შემოღებული ორგანიზაცია არ შეეფერება ტფილისის საჭიროებასაო. გამგეობას მხოლოდ დროებით უნდა ამოერჩია ექიმები, ვიდრე მოიწვევდა სასანიტარო ინსპექტორსაო. ამის გამო ხმ. ნიკოლაძემ სარჩიელი შეიტანა, რომ ოქმში ჩამატებულ იქმნეს სიტყვა „დროებით“, რომ სასანიტარო ინსპექტორად დროებით დაინიშნოს უეჭველად საბჭოს ექიმი-კი არა, არამედ ერთ-ერთი ექიმი ქალაქის გამგეობისა და რომ ერთის თვის განმავლობაში გამგეობამ უეჭველად მოიწვიოს ღირსეული ექიმი, რომელსაც საბჭომ უნდა მიანდოს ინსპექტორობა და მთელი საექიმო ნაწილი ქალაქისა.

ამ წინადადებამ საშინელი აყალმაყალი გამოიწვია საბჭოში. ხმ. ზუბალაშვილმა იკითხა—ეგ მოწვეული ექიმები ხომ არ ერივნენ იმათ შორის, რომელთაც საყვედური გამოუცხადეს საბჭოს ახალის წესის შემოღების გამოვო. ალმოჩნდა, რომ შვიდ ექიმში ექვსი წინააღმდეგი ყოფილა ახალის საექიმო წესისა და გამგეობას-კი მაინც მოუწვევია ამ წესის განსახორციელებლად. ხმოსნები: იოანისიანი, ევანგულოვი, მ. ი. თამამშევი, ანანოვი, ბაბოვი და სხვანი ძრიელ ეწინააღმდეგებოდნენ ბ-ნ ნიკოლაძეს და ბოლოს მოსთხოვეს, რომ მან გამოსთქვას, რა ნაკლსა ჰხედავს ამ ექიმებშიო. საკმარისიაო—სთქვა ხმ. ნიკოლასემ—ვიცოდეთ, რომ ერთი ამ ექიმთაგანი გამოექცა ხოლერას ბაქოდგან და მიანება თავი საკუთარს მოვალეობას, რის გამოც იგი სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნაო, და ჩვენ-კი იმისთანა კაცს ვაძლევთ ადგილს ხოლერის მომლოდნელნიო. დიდ ხანს გასტანა ცხარე ბაასმა. ბოლოს კენჭი უყარეს ხმ. ნიკოლაძის წინადადებას. კენჭის უმეტესობით უარ-ჰყო საბჭომ სიტყვის „დროებით“ ჩამატება, აგრედვე უარ-ჰყო დროებითი ამორჩევა სასანიტარო ინსპექტორისა გამგეობის ყველა ექიმთა შორის. მიღებულ იქმნა მხოლოდ სარჩიელი, რომ გამგეობამ ერთის თვის განმავლობაში უეჭველად იშოვნოს ისეთი ექიმი, რომელსაც საბჭომ გარდასცეს მთელი თავისი საექიმო ნაწილი და აგრედვე სასანიტარო ინსპექტორობა.

## კავკასიის ექიმთა პირველი კრება

ქ. ტფილისში

კრება დაიწყო 21-ს და გათავდა 28 თებერვალს. მთელი ეს ერთი კვირა კრებამ მოანდომა იმ ღონისძიებათა გამორკვევას, რომელნიც საჭირონი არიან ხოლერასთან საბრძოლველად. საზოგადოდ ყველა სენთან საბრძოლველად უმთავრესი იარაღი ჰიგიენაა, რომლითაც შეიძლება სრულიად უზრუნველ-ვყოთ ხალხის ჯან-მრთელობა ყოველ სენისაგან.

საუბედუროდ, ჰიგიენა არსად მთელს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოში ისე აბუჩად არა ყოფილა აღებული, როგორც რუსეთში და, რაღა თქმა უნდა, ჩვენშიაც. როდესაც მეცნიერულად უნდათ გამოიკვლიონ რომელისამე სახელმწიფოს ჭკუა-გონებითი განვითარება, წინ-სვლა, აუცილებლად ხალხის ჯანმრთელობასაც მიაქცევენ ხოლმე ყურადღებას, სად უფრო ნაკლებად ყოფილა ავადმყოფობა და ცოტაც იხოცებოდა რავდენისამე წლის განმავლობაში.

თუ ამ მხრივ რუსეთზედაც გვინდა შევიტყოთ რამე, საუბედუროდ დავრწმუნდებით, რომ რუსეთს განათლებულ სახელმწიფოთა რიცხვში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. სიკვდილი მეტად ხშირია რუსეთში. წარსულ ათ წელს 1000 კაცში ყოველ წლივ იხოცებოდა 37; ევროპაში-კი—მხოლოდ 30 კაცი. მთლად რუსეთში ყოველ წელს იხოცება 800,000 კაცი. ეს ამტკიცებს, რომ ჰიგიენას აქ ჯერ ფეხი ვერ მოუკიდნია. შარშანდელმა ხოლერამ ხომ ნათლად დაგვანახვა, რომ ჩვენ მაგისთანა სენთან საბრძოლველად სრულიად არა ვართ მომზადებულნი. 300,000 მსხვერპლი შევსწირეთ ხოლერას ნახევარ წლის განმავლობაში, უსუფთაობისა და გაუფრთხილებლობის გამო. ხალხმა რომ ჰიგიენის სარგებლობა და საჭიროება რიგიანად შეიგნოს, თვით უნდა განათლებული და განვითარებული იყოს. რადგანაც რუსეთის ხალხი განათლებას მეტად დაშორებულია, ამისათვის ჰიგიენის დაფასება და დახმარება ჯერ არ შეუძლიან.

შარშან მთელ კავკასიაში ხოლერით ავად გამხდარა 162,775 კაცი და გარდაცვლილა 85,594; ამიერ-კავკასიაში 79,628 გამხდარა ავად და 43,423 გარდაცვლილა. ამათ შორის განათლებული კაცი ძალიან ცოტა ყოფილა: ხოლერა უფრო დაბალ ხალხში ვრცელდებოდა, რომელიც სისუფთავეს არ არის მიჩვეული და თავის გაბრთხილება არ იცის. აი ამის მაგალითები:

ქ. ტფილისში ხოლერა გავრცელდა უფრო იმ ადგილებში, სადაც ხალხი შედარებით ბინძურადა ცხოვრობს: ავლაბარში, ჩუღურეთში და სხვა; სოლოლაკში-კი რომელიც ქალაქის სუფთა ნაწილია, თითქმის არ უჩენია თავი ხოლერას. ავადმყოფთა შორის 82°/$_0$ ღარიბნი ყოფილან და მხოლოდ 18°/$_0$ შეძლებულნი, რომელნიც სუფთადაცა სცხოვრობენ და მცოდნე კაცთა რჩევის მოხმარებაც შეუძლიანთ.

ბაქოში და ერევანში თათრები უფრო ხდებოდნენ ავად, ვიდრე სომხები, რადგანაც პირველნი სუფთაობას ჯერ ვერ ეწყობიან და ერთი საშინელი ჩვეულებაცა აქვთ, რომელიც ხოლერას ხელს უწყობს: ხოლერით ავადმყოფს არ აჩენენ, ჰმალავენ ექიმებისაგან, წამალს არა ხმარობენ და მიცვალებულს ღრმად არ ასაფლავებენ.

გორში ქართველი უფრო ბევრი გამხდარა ავად, ვიდრე სომეხი, რადგანაც სომხობა უფრო შეძლებული ხალხია და თავის მოვლაც უყვარს.

ბათუმში ავად გამხდარან: თათარი 2,73, რუსი—1,14, ქართველი—0,62, სომეხი—0,58.

ტფილისი ხოლერის მოლოდინში დაფაცურდა და კარგადაც მოემზადა, აქ სამაგალითო სისუფთავე იყო ზაფხულში და ავადმყოფებსაც დროზედ

---

ამით არ გათავებულა ჯავახეთის ბედ-იღბალი. გავიდა რამდენიმე წელიწადი და ჯავახეთმა როგორც რომ ცოტა სული მოიდგა და წელი მოიმაგრა, ამ მხარეს ახლა ოსმალეთის ხონთქარი დაეცა და მისი სოფლები სულ ერთიანად აოხრა. იგი ქალაქ თმოგვშიაც შევიდა და იქიდგან ბევრი ტყვე წაასხა. ტყვეებში ერია ერთი ყმაწვილი ქალი, რომელმაც თავისის სილამაზით მოჰხიბლა ხონთქარი. ხონთქარმა ეს ქალი თავის მოსამსახურედ დანიშნა. ეს ქალი იყო და იმ ყმაწვილისა, რომელიც შაჰ-აბაზმა თავის მოსამსახურედ გაამწესა.

ერთხელ შაჰ-აბაზი ეწვია სტუმრად ხონთქარს. ხონთქარი დიდის ამბით დაუხვდა და იმ დღეს კარგი ნადიმი გარდაუხადა; ვახშმადაც კარგი დროება გაატარეს და ვახშმის შემდეგ მოისვენეს.

იმ ღამეს შაჰ-აბაზის მოსამსახურე ბიჭს ძილი არ მოსდიოდა, რადგანაც მეორე დღეს, 15 მარიამობისთვეს, ვარძიის მონასტრის დღეობა თენდებოდა და თითონ-კი ტყვეობაში იყო. ბევრი შავი ფიქრები უტრიალებდა მას ამ დროს თავში და იტანჯებოდა; ბოლოს, როგორც იყო, მოიბრუნა მან გული, განაპყრო ზეცისკენ ხელები და სთქვა: „ვარძიის ღვთისმშობელო, შენ გვიშველე ჩვენ ყველა ქართველებს და შემუსრე ჩვენნი მტერნიო“.

ამ სიტყვებს ყური მოჰკრა ხონთქრის მოსამსახურე ქალმა, ძალიან გაჰკვირდა და სთქვა თავის გულში: დიდება შენთვის, ღმერთო! ეს ქართველი საიდან მომეჩვენაო!! გულმა ველარ მოუთმინა, მივიდა იმ ბიჭთან და ჰკითხა: ძმაო, ვინა ხარ შენაო?

— მე ქართველი ვარ სოფელ თმოგვიდგან, გიგოლა მაყვალაძის შვილიო,—უპასუხა ბიჭმა.

ეს სიტყვები ქალმა რომ გაიგონა, ნეკზედ იკბინა (რადგანაც ისიც გიგოლა მაყვალაძის ქალი იყო) და უთხრა ბიჭს:

— ძმაო, მეც გიგოლა მაყვალაძის ქალი ვარო.

მაშინ, რასაკვირველია, ერთმანეთი იცნეს, მეტის-მეტის სიხარულით ბევრიც იტირეს; უამბეს აგრეთვე ერთმანეთს თავთავიანთ თავ-გადასავალი და ჩამოაგდეს ლაპარაკი ვარძიის მონასტრის ღვთისმშობლის დღეობაზედაც. ლაპარაკით რომ დაიღალნენ, იქვე ახლო ურემი დაინახეს; ჩამოსხდნენ ამ ურემზედ და სთქვეს: მოდი ამაღამ ამ ურემზედ ვარძიის ღვთისმშობელს უთიოთო. ამ ლაპარაკში იმათ ამ ურემზედ დაეძინათ. ღვთის ბრძანებით, ეს ურემი აგორდა და გაჰქროლა საშინელის სიჩქარით; იარა, იარა და სოფელ აფნიის (აფნია იქვე ვარძიის მონასტრის ახლოა) გვერდობზედ-კი გაჩერდა.

დილის რიჟრაჟზედ და-ძმას გამოღვიძათ, აქეთ-იქით მიიხედეს და შენიშნეს, რომ ისინი ერთ გვერდობზედ არიან; ძალიან შეეშინდათ და სთქვეს: აქ სადა ვართ?! ჩვენმა ბატონებმა რომ გაგვიგონ, ხომ გაგვწყვეტამენო. ამ დატანებაზედ ზარის ხმაც შემოესმათ. დამ გაიხედა იქითკენ, საიდანაც ზარის ხმა მოდიოდა, და შენიშნა, რომ ვარძიის მონასტრიდგან სანთლების შუქიც მოსჩანდა.

— აგერ ვარძიის მონასტერი! სანთლების შუქიც იქიდგან მოსჩანს, უთხრა დამ ძმასა.

— ჩვენ სწორედ ბურანში ვართ, დაო, უპასუხა ძმამ დასა: აქ ვარძიის მონასტერს რა უნდა!? ნეტა წყალი მაინც იყვეს აქ სადმე, რომ პირი დავიბანოთ და ძილისაგან გამოვერკვეთ.

ღვთის ბრძანებით, იქვე ახლო კლდიდგან მშვენიერი წყარო გადმოსკდა (ეს წყარო იმ გვერდობზედ დღესაც არის). პირი დაიბანეს, ძილისაგან გამოერკვივნენ და გაიგეს, რომ ისინი მართლა ვარძიის მონასტრის ახლო იყვნენ. მაშინათვე ადგნენ საჩქაროდ, წავიდნენ ვარძიის მონასტერში, ცისკარი და წირვაც იქ მოისმინეს და მადლობა შესწირეს ვარძიის მონასტრის ღვთისმშობელსა, რომელმაც გადაარჩინა იგინი თათრების ხელიდგან.

ზ. ოქუაშვილი

სოფ. ჩუნჩხა
1893 წელს.

პატრონობდნენ. ამიტომ, თუმცა წინად ყველას ეგონა, რომ ხოლერა მთელს ქალაქს მოედებაო, მაგრამ ბოლოს სულ წინააღმდეგი აღმოჩნდა: ტფილისში უფრო ნაკლებად იყო ავადმყოფობა, ვიდრე სხვა კავკასიის ქალაქებში. აქაურ მცხოვრებთაგან ავად გახდა მხოლოდ 0,41%; ხოლო ქუთაისში—0,74, განჯაში—2,05, ბაქოში—2,47, კავკავში—2,25, პიატიგორსკში—2,76.

ბევრი ექიმთაგანი ხოლერის გავრცელებას სხვათა შორის წყალს აბრალებს. სადაც სუფთა სასმელი წყალია, მეტადრე წყაროსი, იქ ხოლერა ფეხს ვერ იკიდებდა; სადაც ხალხი უსუფთაო მდინარისა და ჭის წყალსა სვამდა, იქ ხოლერა უფრო მძვინვარებდა.

ახალციხეში ავადმყოფობა უფრო ახალს ნაწილში მძვინვარებდა, თუმცა ეს უფრო კარგად არის მოშენებულ-მოწყობილი. ამის მიზეზი ძველი წყლის მილები ყოფილა. როდესაც ამ წყალის ხმარება აჰკრძალა მთავრობამ, ხოლერა მესამე დღეს სრულიად მოისპო.

ხოლერის აცდენა შესაძლებელია. ხოლერა რომ გაჩნდა პირველად ბაქოში, მაშინ რომ ჯეროვანი ღონისძიება ეხმარათ, მთელი ჩვენი მხარე განსაცდელში არ ჩავარდებოდა. მხოლოდ ამ ღონის-ძიებით გადარჩა შარშან აბასთუმანი ხოლერას. ვერავინ იტყვის, რომ აბასთუმანს ამ შემთხვევაში მაღალი მდებარეობა და მთის ჰავა დაეხმარა. სვანეთი უფრო მაღალი ადგილია, ზოგი სოფელი იქ 10,000 ფუტის სიმაღლეზეა, მაგრამ ხოლერამ-კი იქაც თავი იჩინა და თითქმის უფრო მძვინვარებდა, ვიდრე ზოგიერთა დაბალ ადგილს.

(შემდეგი იქნება)

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სიღნაღი.** 20 თებერვალი. შარშანდელმა წელიწადმა საზოგადოდ არც წიგნებით ვაჭრობას დააყარა კეთილი. ანგარიშის შემდეგ პირველ ივლისს 1892 წ. წიგნის მაღაზიას დარჩა საკუთარი წიგნები გაუყიდავი 2090 ეგზემპ. ექვსის თვის განმავლობაში 1 იანვრამდე 1893 წ. კიდევ შეიძინა 283 ეგზემპ. სულ 2372 ეგზემპ. წიგნი და წიგნაკი. აქედან გაიყიდა 1 იანვრამდე 1893 წლისა 422 ეგზემპ. 95 მან. 5 კაპ. დარჩა გაუყიდავი მაღაზიაში 1950 ეგზემპ. წიგნი; სხვა-და-სხვათაგან გამოგზავნილი საკომისიო წიგნები ჰქონდა მაღაზიას 1365 ეგზემპ. ამ ექვსის თვის განმავლობაში კიდევ მოუვიდა მაღაზიას 749 ეგზემპ. წიგნი, სულ 2114 ეგზემ. აქედან გაიყიდა 366 ეგზემპ. 99 მან. 50 კაპ. 1 იანვრიდან დარჩა მაღაზიაში საკომისიო წიგნები გაუყიდავი 1748 ეგზ. გარდა სახელ-მძღვანელო წიგნებისა და კანცელიარიის მასალისა მაღაზიამ მთელ სიღნაღის მაზრაში და სიღნაღში გაჰყიდა, როგორც საკუთარი, ისე საკომისიო წიგნები სულ 788 ეგზემპ. სულ 194 მან. 55 კაპ. ეს იმიტომ მოხდა რომ შარშან მეორე ნახევარ წლის განმავლობაში არც ერთ ხატობა დღეობაში არა ჰქონია გასასყიდად ამხანაგობას წიგნები. დღესასწაულებში აკრძალულ იყო ეკლესიასთან სიარული და ხალხის შეგროვება, ან კი ვინ წავიდოდა დღეობაში, როდესაც მეზობელი მეზობელთან ვერ მიდიოდა ხოლერის შიშით. არა თუ შარშან, დღესაც-კი შიშობენ. მე თითონ, ამ სტრიქონების დამწერს, ერთ სოფლელ გლეხკაცის ფული მებარა; ამას წინად შემეხვეწა, შენიჭირიმე, ფული მომე, იქნება ან მე მოვკვდე, ან შენა, რავიცი, რალაცა საშიში ხმები დადისო, და შინ მაინც მოიხმარებენ ფულსაო; „პრიჭტავმა გამოგვიცხადა, ლობიოს ნუ დასთესავთ, მხალს, ჭინჭარს, ბალბას, და სხვა მწვანილეულს ნუ სჭამთ, წელს დიდი ხოლერობა უნდა იყოსო“.

ახლა შევიხედოთ სამკითხველოში და ვნახოთ, რა მდგმოიერობაშია ეს პატარა, მაგრამ კოპწიად მორთული სახლი. შეხვალთ თუ არა, პირველადვე წარმოუდგება თქვენ თვალს კედლებზე ჩამოკიდებული, გარდა სხვა-და-სხვა სურათებისა, ჩვენთა წინანდელ და ახლანდელ მწერალთა პორტრეტები: შოთა რუსთაველისა, ილია ჭავჭავაძესი, აკაკი წერეთლისა, რ. ერისთავისა, დ. ბაქრაძისა, ნ. ნიკოლაძესი, ვაჟა-ფშაველასი, ი. დავითაშვილისა, გრ. ორბელიანისა და სხვა. გარდა ამ სანახაობისა, გაშლილია ორი კარგად მოზდილი კალთებიანი სტოლი, გარშემო აქვს შემომწკვრივებული ვენის სკამები, ჭერზეა ჩამოკიდებული მშვენიერი დიდი ლამპარი, სტოლების თავში დგას მშვენიერივე „შკაფი“, სხვა-და-სხვა წიგნებით სავსე. სტოლებზე გაშლილია ახალი ჟურნალ-გაზეთები: ქართული: „ივერია“ „მეურნე“ „კვალი“ „მწყემსი“; რუსული: „Кавказъ“ „Новое Обозрѣніе“ „Тиф. Листокъ“-ი „Нива“ „Родина“ „Пастырь“-ი აწყვია სტოლზე ეს ზემოხსენებული ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ რა? რა და ისა, რომ ზოგიერთი ჟურნალი ანუ ჟურნალთან მოსული წიგნი ისევ გაუჭრელია.

ეხლი სამკითხველოს მატიანეც; შარშან თიბათვეში მიართვეს ადგილობრივ მთავრობას თხოვნა, რომ ეშუამდგომლათ, სადაც ჯერ იყო, ნებ-რთვის ასღებად. ამხანაგობას ეგონა, ორ კვირას არც-კი გასტანს საქმეო და მაშინვე შეუდგა სამკითხველოს მოწყობას და წიგნების შეძენის საქმეს. ამხანაგობამ გამოიწერა გაზეთები ნახევარ წლით: „Кавказъ“-ი „Тиф. Листокъ“-ი „Новое Обозрѣніе“ „Пастырь“-ი „ივერია“, „მწყემსი“ „მეურნე“, „ჯეჯილი“ და „მშაკი“. შეიძინა თელავსიღნაღის ხუროთ მოძღვრისაგან მშვენიერი ბიბლიოთეკა (ბიბლიოთეკაში 300 წიგნამდეა) და სხვა-და-სხვა ხარჯი გასწია, თითქმის 350 მანეთამდე. ნება-რთვა-კი ერთობ გვიან მოუვიდათ, გიორგობისთვის 9-ს. შემოსავალი 1-ლ იანვრამდე ჰქონდა სამკითხველო-ბიბლიოთეკას 28 მან. 74 კაპ. ამავე ხნის განმავლობაში სულ 60 კაცამდე შესულა სამკითხველოში და წაუკითხამს წიგნები და გაზეთები. ეხლა სამკითხველოს აქვს საკითხავი წიგნები რუსული და ქართული, სულ 562 ეგზემპლიარი. ბევრია იმისთანა წიგნები, რომ მართლა და ღირს წაკითხვადა. მშვენივრად დაკაზმული ოქროს ვარაყიანის ყდებით აწყვია უქმად და წამკითხველი-კი არსაითა სჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ სამკითხველოში ფასები ძრიელ ხელმისაწდომი და მცირეა დანიშნული.

მთელის წლით 4 მან., ნახევარ წლით 2 მან. 30 კ., 3 თვით 1 მან. 30 კაპ. 1 თვით 50 კაპ., კვირით 15 კაპ., დღით 2 კაპ. ეს ხომ ასეა, მაგრამ მაინც ძრიელ ცოტა მუშტარი ჰყავს სამკითხველოს. მთელის წლით ხელის მომწერელი 2 კაცია, ნახევარ წლით 1, თვით 6, ადგილობრივ წასაკითხად დღეში ორი ან სამი კაცი თუ შეივლის, ეს არის და ეს.

ი. შ.

---

## ბიბლიოგრაფია

**ქუთაისის გუბერნიის მკვიდრნი—ი. ი. პანტიუხოვისა.**

(Населеніе Кутаисской губерніи—И. И, Пантюхова. С.-Пб. 92 г.)

წელს ჟურნალ „Вѣстникъ общественной гигіены, судебной и практической медицины“-ს მე-XV ტომში დაიბეჭდა ბ. პანტიუხოვის გამოკვლევა ქუთაისის გუბერნიის მკვიდრთა შესახებ *). ეს გამოკვლევა იმოდენად საყურადღებოა, რომ მგონი, მეტი არ იქნება მოკლედ ვაცნობოთ მკითხველს მისი შინაარსი.

ბ. პანტიუხოვი ექიმია და დიდი ხანია ცნობილი, როგორც წყნარი გამომკვლევეელი ქუთაისის გუბერნიისა. სამწუხაროდ, მისი ნაწერები იბეჭდებოდა სპეციალურ ჟურნალებში და ამით უნდა აიხსნას, რომ ჩვენმა სიზოგადოებამ ამ წერილებისა არა იცის-რა.

ახალი გამოკვლევა, რომლის სათაური ზემოდ მოვიყვანეთ, განიყოფება ექვს ნაწილად: 1) ისტორიული აღწერა, 2) ეტნოგრაფია, 3) მთიანი მხარე, 4) ვაკე ადგილი, 5) ფიზიკური აგებულობა, და 6) პატოლოგია. ავტორი თავიდამვე გვეუბნება: „ჩვენ საგნად არა გვაქვს ქვეყნის ფიზიკურ თვისებათა აღწერა, ამისათვის ჩვენ მის ისტორიას და ბუნებას შევეხებით იმოდენად, რამოდენადაც საჭიროა უმთავრესის კითხვების გამოსარკვევად, მცხოვრებთა ფიზიკურ აგებულების და პატალოგიის გასაგებად“ (გვ. 2). ამის და გვარად პანტიუხოვი პირველ ნაწილში მოკლედ მოგვითხრობს ქუთაისის გუბერნიის მდებიარებას, საზღვრებს, გეოლოგიურ ცვლილებათა შესახებ ამ ქვეყნის გაჩენიდგან და შემდეგ ამბობს, რომ ისტორიული ცნობანი შესახებ ქუთაისის გუბერნიისა მრავალ გვარია, მაგრამ არეულ-დარეულიო. ამ ცნობით შეიძლება იმ აზრს დავადგეთ რომ რიონის მიდამოთა მცხოვრებნი ეკუთვნოდნენ ევროპიელების მიერ ჯერ არ ცნობილს სხვა-და-სხვა ჯგუფს და უნდა დასახლებულიყვნენ აქ პირვანდელ დროს, როცა ისტორია ჯერ არ იწერებოდა (გვ. 5). ჩვენ ერთად Ritter-თან შეგვიძლია ვსთქვათო, რომ ზოგიერნი ამ ჯგუფთა წარმომადგენელნი გადმოსახლებლიყვნენ ინდოეთიდამ. ისიც სარწმუნოა, რომ აქ დასახლდნენ ეგვიპტელი კოლონიელნიც. შემდეგ ამათ შემოუერთდნენ ებრაელნი, რასაც გვიმტკიცებენ, როგორც ძველნი გამომკვლევანი გეროდოტისა, ისე ახალნიც—უსლარისა, როულინსონისა, უილსონისა, გარკავისა და სხ. ებრაელნი (სემიტური ტომი) ყოველ-გვარ პირობათა ამტანნი, შეეჩვივნენ აქაურ გარემოებასაც, შეუერთდნენ (?!) სისხლით და ხორცით აქაურ მცხოვრებთ. ამისაგან წარმოსდგა, რომ ამ ქვეყანაში დღეს არეული ტიპია. ებრაული ტიპი დღემდე შენახულა აქ—აფხაზეთში ჯიქეთში, სამეგრელოში და სვანეთში. რაიცა შეეხება შემდეგ საუკუნოებს, განაგრძობს ბ-ნი პანტიუხოვი, უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ცვლილებანი, რომელნიც ხდებოდნენ ირგვლივ ამა ქვეყნისა, ცოტად ან სრულიადაც არ ეხებოდნენ რიონის ვაკეს. ამას ეხმარებოდა თვით ქვეყნის ტოპოგრაფიული მდებიარობა: სკვითებს და ხაზარებს იქამდე არ მიუღწევიათ, სპარსეთის მეფის ანდრიხანის ჯარი რიონის ვაკის მცხოვრებმა და ოსებმა გასწყვიტეს ერთ დღეს რომელღაც „ორპირში“, კიროსიც არ ასულა აქამდე, ალექსანდრე მაკედონელის გალაშქრება ამ ქვეყნის დასაპყრობად საეჭვო არის.

დიუბუა-დე-მონპერიესა და უსლარის გამომკვლევით, აქაურნი მცხოვრებნი ისევ იმ მკვიდრთა წარმომადგენელნი არიან, რომელნიც იყვნენ აქ გეროდოტის დროს.

რიონის არე-მარე უკავიათ აბხაზებს, სვანებს, იმერლებს, მეგრელებს და გურულებს. გეროდოტის დროს ცნობილ იყვნენ კოლხები (მეგრელები და გურულები), ალექს. მაკედონელის დროს—სვანები, ქრისტიანობის დასაწყისში—ლაზები. გავრცელებულია აზრიო, ამბობს პანტიუხოვი, ვითომ ყველა ესენი უნდა იყვნენ ქართველების ერთი შტო, მაგრამ ანთროპოლოგიური გამოკვლევა ერკეტისა და შანტრისა ამას არ ეთანხმება. აქაურ მკვიდრთ უფრო ვიწრო თავის ქალა აქვთ, ვინემ ქართველებს და მათ მეზობელ სომხებს (გვ. 13). აქ უცხოვრიათ ეგვიპტელებს, ებრაელებს, ბერძნებს, სპარსელებს, რომაელებს, არაბებს და თათრებს. ყველა ესენი დიდად განირჩევიან მკვიდრ მცხოვრებლებისაგან, როგორც თავის ქალათი, აგრეთვე თვალით, თმით და სხვ. ძირეული ტიპი განირჩევა ქერა თმით და წვერ-ულვაშით და ჭრელის და ლაჟვარდის თვალებით. ამ ფაქტთან თუ იმასაც ვიფიქრებთ, რომ არსად ისტორია არ გვეუბნება ამ ტიპის ხალხის აქ საიდგანმე გადმოსახლებას, შეგვიძლია იმ აზრს დავადგეთ, რომ: ან ძირეული, უძველესი, წინა-ისტორიული, მკვიდრნი ქერა-თმიანი, ჭრელ-თვალიანი, წყნარი და მიწის მომუშავენი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მძლავრთა შემოსევის შემდეგ ეს პირვანდელი ტიპი უნდა შეცვლილიყოს და ბოლოს სულ შერეოდეს ახალ შავ-თმიან და შავ-თვალა ტიპს; ან არა და თვით მკვიდრნი უნდა ყოფილიყვნენ შავ-თვალა და შავ-თმიანი და ამათ უნდა შერეოდეს ჭრელ-თვალა და ქერა თმიანი ახლად გადმოსახლებული ხალხი; მაგრამ ეს უკანასკნელი ფიზიკურად უფრო განვითარებული იყო, უფრო განცალკევებული და ამის გამო თავისი ტიპი მაინც შეინახა (გვ. 14).

„იმის გამოცნობა, თუ საიდამ მომდინარეობს ჭრელ-თვალა და ქერა-თმიანი ტომი, ან როგორ იმოქმედა ქუთ. გუბერნიის მკვიდრთა ფიზიკურ აგებულებაზე და პსიხოლგიურ ცხოვრებაზე, შეიძლება მხოლოდ ანთროპოლოგიის დახმარებით და ამასთანავე ეხლანდელთა მცხოვრებთა ტიპის მრავალ-გვაროვან სამეცნიერო გამოკვლევით (იქვე გვ. 14).

მოკლედ რომ ვსთქვათ, ბ-ნ პანტიუხოვს სურს დარვინის თეორიით происхожденіе видовъ გაგვითვალისწინოს, როდის და რა ხალხთა ტომი უნდა დასახლებულიყო პირველად რიონის მიდამოში და შემდეგ რა რიგად იცვალა ფერი და ხასიათი იქნურმა მკვიდრმა. რამოდენად კარგად გამოუკვლევია პატივცემულს ავტორს ეს მძიმე საგანი, ჩვენ ჯერ ვერას ვიტყვით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ეს ახალი ცდა არის და ამ გვარი ცდა სწორედ სასურველია.

(დასასრული იქნება)

*) ეს გამოკვლევა ეხლა დაბეჭდილია ცალკე წიგნად.

დ. ა.

---

## დეპეშა

8 მარტი.

**პეტერბურგი.** გუშინ სამხედრო ექიმთა აკადემიის წლიური აქტი იყო და წარმოითქვა, რომ 258 აკადემიის სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო ხოლერასთან ბრძოლაში და სამმა მათგანმა თავი შესწირა მოვალეობის აღსრულების დროს; გარდასწყვიტეს, საუკუნოდ უკვდავ ვყოთ მათი სახელიო.

Бирж. Вѣд.-ი ამბობს, რომ ახალი $4\frac{1}{2}\%$ სესხი კარგად დამთავრდა; ობლიგაციები გაიყიდა 99 მანეთიდგან $99\frac{5}{8}$-მდე ასიდგანაო. ამ საქმეს ხელი შეუწყეს დამზოგველ კასსებმა სხვა-და-სხვა საბანკო დაწესებულებამ და დამზღვეველ საზოგადოებებმაო, რომლებმაც დიდ-ძალი ობლიგაციები შეისყიდესო.

**ხარკოვი.** წყალი საშინლად აღიდდა და ქალაქის დაბლობი ადგილი მთლად დაჰფარა. მისვლა-მოსვლა მხოლოდ ნავებით შეიძლება.

**ლიბავა.** ზღვაში, კურლიანდიის ნაპირთან, ყინულში მოემწყვდა 40-მდე ორთქლ-მავალი გემი, რომლებიც მხოლოდ ეხლა დააღწევენ თავს; ბევრი მათგანი დაზიანებულია.

**სოფია.** სასამართლო არჩევს გეორგიევის საქმეს, რომელსაც ჰბრალდება მონაწილეობა შეთქმულობაში პრინც კობურგელისა და სტამბულოვის წინააღმდეგ.

9 მარტი

**პეტერბურგი.** გამოცხადდა დებულებანი: 1) იმ მართლ-მადიდებელ იჯარადართა მიწის მფლობელობის წესის შესახებ, რომელნიც 1861 წლის 19 თებერვლამდე დასახლებულან ძელორუსისა და დასავლეთ-ჩრდილოეთის გუბერნიებში. 2) დამნაშავეთა განსამართლებისა და განაჩენის გამოცხადების წესის შეცვლის შესახებ.

**კალკუტა.** ჩინეთის ნაწილის თურქესტნის გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც გაუქმებულ იქმნა ბაჟი უცხო ქვეყნებიდგან ყოველ გვარ შემოტანილ საქონელზედ, ოპიუმს გარდა. ამ რიგად ბრიტანიას ისეთივე შეღავათი

ექმნება, როგორიც რუსეთსა აქვს ილის ხელ-შეკრულობით, რომლის ძალითაც რუსეთიდგან თურქესტანში შეტანილ საქონელზე ბაჟი არ არის დადადებული.

მეორე შინაგან სესხის მომგებიან ბილეთების 1მარტის ტირაჟში უმთავრესი მოგება ხვდა შემდეგ ბილეთებს.

| №№ სერ. | №№ ბილეთ. | მოგება | №№ სერ. | №№ ბილეთ. | მოგება |
|---|---|---|---|---|---|
| 6371 | 40 | 200000 | 2434 | 10 | 1000 |
| 19061 | 2 | 75000 | 7650 | 19 | 1000 |
| 13316 | 43 | 40000 | 8142 | 15 | 1000 |
| 14308 | 25 | 25000 | 17292 | 15 | 1000 |
| 12325 | 31 | 10000 | 14082 | 16 | 1000 |
| 7937 | 7 | 10000 | 16281 | 23 | 1000 |
| 13759 | 28 | 10000 | 10403 | 13 | 1000 |
| 4766 | 29 | 8000 | 15933 | 9 | 1000 |
| 4185 | 48 | 8000 | 15491 | 10 | 1000 |
| 14592 | 21 | 8000 | 14513 | 19 | 1000 |
| 2714 | 23 | 8000 | 16227 | 46 | 1000 |
| 13704 | 27 | 8000 | 1294 | 15 | 1000 |
| 8060 | 25 | 5000 | 12199 | 10 | 1000 |
| 19602 | 25 | 5000 | 8953 | 19 | 1000 |
| 10845 | 27 | 5000 | 15262 | 39 | 1000 |
| 5066 | 34 | 5000 | 12661 | 1 | 1000 |
| 1219 | 48 | 5000 | 11595 | 8 | 1000 |
| 9293 | 9 | 5000 | 10820 | 47 | 1000 |
| 2031 | 25 | 5000 | 3723 | 16 | 1000 |
| 4194 | 18 | 5000 | 11748 | 40 | 1000 |

ხუთას მანათიანი

| №№ ბილეთ. | №№ სერ. | №№ ბილეთ. | №№ სერ. | №№ ბილეთ. | №№ სერ. |
|---|---|---|---|---|---|
| 7,404 | 2 | 19,767 | 31 | 13,743 | 2 |
| 9,536 | 48 | 4,603 | 9 | 4,065 | 17 |
| 12,562 | 23 | 19,080 | 40 | 4,111 | 11 |
| 19,113 | 50 | 12,532 | 38 | 17,978 | 50 |
| 19,021 | 14 | 8,748 | 48 | 14,968 | 48 |
| 100 | 48 | 4,988 | 23 | 13,033 | 49 |
| 4,758 | 40 | 6,863 | 40 | 7,419 | 35 |
| 13,052 | 21 | 4,799 | 34 | 2,365 | 32 |
| 15,305 | 2 | 18,235 | 40 | 18,611 | 29 |
| 2,728 | 46 | 13,634 | 15 | 8,897 | 15 |
| 5,797 | 39 | 6,802 | 12 | 9,032 | 26 |
| 12,329 | 9 | 2,421 | 25 | 3,022 | 12 |
| 7,896 | 30 | 5,241 | 32 | 7,412 | 22 |
| 1,894 | 22 | 18,337 | 24 | 16,998 | 1 |
| 4,531 | 7 | 12,216 | 35 | 13,901 | 41 |
| 1,748 | 37 | 52 | 1 | 8,153 | 35 |
| 14,288 | 7 | 18,882 | 35 | 2,527 | 7 |
| 4,059 | 22 | 12,637 | 21 | 8,301 | 18 |
| 2,659 | 20 | 3,262 | 46 | 19,255 | 7 |
| 15,272 | 31 | 8,755 | 6 | 5,667 | 1 |
| 7,444 | 2 | 8,809 | 22 | 14,179 | 28 |
| 19,160 | 23 | 3,542 | 22 | 4,121 | 32 |
| 7,524 | 36 | 2,202 | 41 | 13,396 | 41 |
| 12,703 | 50 | 427 | 5 | 3,747 | 6 |
| 6,371 | 25 | 3,305 | 21 | 7,002 | 28 |
| 11,537 | 38 | 11,041 | 37 | 10,156 | 18 |
| 4,309 | 48 | 18,311 | 25 | 9,911 | 1 |
| 8,790 | 49 | 11,648 | 6 | 13,064 | 9 |
| 13,836 | 8 | 7,793 | 16 | 10,483 | 42 |
| 5,173 | 46 | 1,311 | 35 | 3,768 | 10 |
| 7,745 | 10 | 19,652 | 34 | 944 | 34 |
| 8,964 | 38 | 6,653 | 13 | 7,225 | 15 |
| 13,188 | 19 | 19,609 | 14 | 11,635 | 17 |
| 17,308 | 38 | 1,704 | 35 | 15,640 | 47 |
| 12,630 | 29 | 14,591 | 38 | 847 | 24 |
| 17,201 | 13 | 13,294 | 1 | 6,791 | 31 |
| 8,778 | 8 | 18,943 | 31 | 2,715 | 13 |
| 9,859 | 21 | 12,689 | 14 | 1,764 | 13 |
| 3,004 | 16 | 6,992 | 16 | 13,158 | 34 |
| 18,620 | 18 | 13,957 | 14 | 11,758 | 41 |
| 15,569 | 12 | 17,674 | 26 | 4,815 | 50 |
| 6,762 | 18 | 19,936 | 42 | 9,678 | 45 |
| 13,270 | 41 | 4,642 | 20 | 11,803 | 8 |
| 19,329 | 27 | 18,077 | 19 | 11,733 | 30 |
| 9,092 | 11 | 6,096 | 40 | 17,594 | 48 |
| 3,134 | 13 | 4,614 | 48 | 11,932 | 37 |
| 12,090 | 41 | 16,841 | 4 | 9,660 | 21 |
| 5,983 | 12 | 6,788 | 15 | 19,210 | 4 |
| 11,657 | 33 | 14,336 | 47 | 5,185 | 2 |
| 18,750 | 47 | 1,973 | 44 | 9,093 | 27 |
| 4,690 | 47 | 16,278 | 50 | 15,687 | 22 |
| 15,817 | 32 | 14,463 | 5 | 15,064 | 31 |
| 9,840 | 12 | 4,413 | 38 | 12,253 | 12 |
| 17,449 | 3 | 12,614 | 27 | 1,535 | 16 |
| 7,946 | 37 | 19,680 | 9 | 2,568 | 35 |
| 8,771 | 7 | 16,930 | 27 | 4,588 | 16 |
| 2,842 | 43 | 9,575 | 37 | 19,873 | 38 |
| 3,632 | 7 | 19,348 | 16 | 6,685 | 8 |
| 764 | 19 | 6,132 | 10 | 19,137 | 48 |
| 13,816 | 44 | 7,792 | 18 | 14,259 | 37 |
| 9,166 | 37 | 2,742 | 40 | 8,532 | 31 |
| 14,713 | 25 | 11,576 | 25 | 6,477 | 32 |
| 2,768 | 15 | 1,357 | 21 | 14,819 | 24 |
| 13,089 | 3 | 717 | 39 | 3,276 | 43 |
| 6,827 | 5 | 1,558 | 21 | 6,152 | 4 |
| 16,871 | 5 | 13,543 | 6 | 13,887 | 43 |
| 1,354 | 13 | 19,065 | 6 | 636 | 35 |
| 10,950 | 26 | 9,203 | 21 | 14,240 | 20 |
| 2,063 | 49 | 13,205 | 13 | 8,756 | 31 |
| 3,313 | 27 | 2,185 | 6 | 2,022 | 35 |
| 15,146 | 41 | 11,742 | 45 | 1,734 | 35 |
| 15,000 | 2 | 18,208 | 47 | 1,148 | 8 |
| 3,096 | 5 | 1,591 | 16 | 12,111 | 46 |
| 11,273 | 26 | 1,245 | 32 | 4,551 | 48 |
| 12,761 | 45 | 11,256 | 49 | 15,016 | 22 |
| 8,325 | 23 | 15,950 | 3 | 17,033 | 9 |
| 1,774 | 23 | 2,124 | 12 | 4,663 | 11 |
| 10,261 | 40 | 16,200 | 35 | 12,724 | 33 |
| 16,802 | 47 | 7,033 | 33 | 12,061 | 4 |
| 16,687 | 31 | 15,343 | 32 | 8,766 | 19 |
| 6,599 | 1 | 12,806 | 41 | 4,741 | 41 |
| 410 | 44 | 8,546 | 8 | 14,037 | 8 |
| 11,601 | 23 | 14,161 | 41 | 5,810 | 41 |
| 6,161 | 48 | 13,764 | 28 | 6,623 | 1 |
| 3,381 | 34 | 12,409 | 12 | 10,239 | 25 |
| 3,034 | 14 | 4,818 | 43 | 7,750 | 38 |
| 5,386 | 34 | | | | |

ტირაჟში გამოვიდა სერიები №№

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12,096 | 611 | 18,383 | 15,187 | |
| 15,815 | 2,490 | 15,415 | 7,875 | 5,251 |
| 9,905 | 14,504 | 11,301 | 3,842 | 1,553 |
| 3,536 | 9,602 | 13,005 | 18,583 | 8,128 |
| 15,689 | 2,532 | 18,062 | 3,333 | 3,289 |
| 2,737 | 11,464 | 3,785 | 18,352 | |
| 1,524 | 18,744 | 10,625 | 14,143 | |
| 8,952 | 7,256 | 16,695 | 2,057 | 3,567 |
| 3,037 | 16,413 | 12,726 | 14,391 | |
| 8,187 | 18,407 | 11,833 | 17,359 | |
| 16,055 | 8,823 | 13,611 | 4,951 | 14,747 |
| 18,088 | 12,023 | 12,321 | 6,788 | 468 |
| 9,816 | 15,745 | 13,470 | 5,487 | |
| 13,830 | 13,407 | 4,349 | 9,477 | 7,879 |
| 18,331 | 5,273 | 16,718 | 12,982 | |
| 10,562 | 2,498 | 8,497 | 15,064 | 8,176 |
| 8,843 | 19,362 | 16,585 | 3,514 | 5,063 |
| 16,686 | 373 | 14,210 | 2,189 | 12,840 |
| 10,544 | 4,976 | 6,411 | 6,896 | 7,885 |
| 649 | 11,798 | 12,388 | 12,049 | 6,973, |
| 11,826 | 16,977 | 8,037 | 9,290 | 137. |

## ხელ-და-ხელ საჭირო ცნობა

ტფილისის საოლქო სასამართლოში 10 მაისისათვის დანიშნულია ვაჭრობით გასყიდვა არტემ ჯანჯულაზოვის ცარიელის მიწისა, რომელიც მეტეხის აღმართთან იმყოფება და 42 ოთხ-კუთხ საჟენს შეიცავს. დაფასებულია 600 მანეთად.

— იქვე იმავე დღეს ვაჭრობით გაისყიდება ორ-სართულიანი სახლი ქზოთი, გრიგოლ და ეკატერინე ხითარიშვილებისა. ეს მამული მესამე პოლიციის განყოფილებაშია ბანკის ვიწრო ქუჩაზედ. დაფასებულია 1,000 მანათად.

— იქვე იმავ დღეს გაისყიდება ორ-სართულიანი ფართო ეზოიანი სახლი იოსებ პაატაშვილისა. ეს მამული ციციანოვის ქუჩაზედ იმყოფება №№ 26 და 28. დაფასებულია 200 მანათად.

— ტფილისის საოლქო გამგეობა 1 მაისს ვაჭრობით გაჰყიდის დავით მემარნიშვილის ერთ-სართულიან სახლს ეზოთი, რომელიც ტფილისის მეორე საპოლიციო განყოფილებაშია. დაფასებულია 505 მანათად.

— ტფილისის საოლქო სასამართლოში 10 მაისს ვაჭრობით გაისყიდება ორ-სართულიანი სახლი სოსიკო და პელაგია იორდანოვებისა. ეს მამული ტფილისის მე-9-ე საპოლიციო განყოფილებაში მდებარეობს. ნორიოს ქუჩაზედ დაფასებულია 600 მანათად.

— იქვე იმავე დღეს გაისყიდება ხეჩატურ სულთანოვის სახლი ეზოთი, მეშვიდე საპოლიციო განყოფილებაში № 41. დაფასებულია 2,000 მანათად.

— 17 აპრილისათვის ტფილისის საოლქო გამგეობაში დანიშნულია ვაჭრობა, რათა იჯარით გაიცეს ქუთაისის საპატიმრო ტუსაღებისათვის ყოველგვარი სანოვაგის მიტანა. მთელის წლის განმავლობაში 6,000 მანათის სანოვაგე მაინც მოუნდება. დაწვრილებით ცნობათა გაგება შეიძლება გამგეობის კანცელარიაში.

# განცხადებანი


სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, ისყიდება იაფ-ფასად რვა **ფურგუნი, წყლის საზიდი ბოჩკა და ტელეგა.** ავლაბარი, მარტყოფის ქუჩა № 8. (3—1)

აბრეშუმის თესლეულობა ძმ. პასხალიდებისა

ბრუსსაში (ოსმალეთში)

ცელლიულიარული გრენა (აბრეშუმის ჭიის თესლი) ძმ. პასხალიდებისა, როგორც კავკასიის ბევრმა აბრეშუმის მწარმოებელმა უწყის, ეს თესლი დიდად სალია და თითო მისხალი 35 გირვანქამდე შეუმუშავებელ თეთრს პარკს იძლევა. ისყიდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში, ოთხ-კუთხის ყუთებით და თითო ყუთში 7½ მისხალი თესლია; თითო მისხალი ჰღირს 75 კაპ. ვისაც ბლომად ჰსურს აბრეშუმის ჭიის თესლის ყიდვა, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულ ქარვასლაში, № 128, ზაქათალაში — ძმ. პასხალიდების კანტორას. (12—8)

## კბილის ექიმი

## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—25)

**ნუ ყიდულობთ** ოლე-ვაზელინის საპონს **როიალ-კონგო** რომელსაც გასაფრთხილებელი ნიშნები არა ჰქონდეს გამომგონებისაგან

## ე. ბოდლო და კº სავან

გაუფრთხილდით ყალბ საპონს!




გაუფრთხილდით ყალბ საპონს!

ჩვენ იძულებულ ვართ თითოეულ ნაჭერს ოლე-ვაზელინის „როიალ-კონგოს“ საპონს გასაფრთხილებელი ნიშნები გაუკეთოთ, რადგან აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც აკეთებენ ჩვენის საპნის მიმსგავსებულს ეტიკეტითაც და სხვაფრივაც.

ე. ბოდლო და კº

ადრესი: Москва, 3-я Мѣщнская, д. № 49. магазинъ: китайскій проѣздъ, д. Хлудовыхъ. (12—1)

## ზეთის გამოსახდელი და საპნის ქარხნები ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა ქ. ტფილისში.

დიდ-მარხვისათვის ქარხანაში ისყიდება **ზეთები: საჭმელად:** შირბახტისა, სელისა, კანაფისა; **კანდელისა, მოდუღებული** საღებავ წამლებისთვის და ზეთება კარგის ღირსებისა. **ბოთლებით ისყიდება** შემდეგ მაღაზიებში: საფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ჯოვანის მაღაზიებში, ალიხანოვის მაღაზიებში—გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობჟანსკისა, და ვარანცოვის ძეგლთან, ვარვაროვთან, გოლოვინის პროსპექტი სახლი ორბელიანისა, სარაჯიშვილთან, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ბაბანასოვისა, მაროვთან, ნიკოლოოზის ქუჩა საკუთარი სახლი, ხუდადოვთან, ნიკოლოოზის ქუჩა, ალექსანდრეს ეკკლესიის პირდაპირ, სადაგოვთან, პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, გალალიანცთან, პანასევიჩის ქუჩა, სახლი № 1, წერეთელთან, ველიამინოვის ქუჩა, სახლი ხოსროევისა. ყოველ გვარ ზეთის **წვრილ-წვრილად ყიდვა შეიძლება საკუთარ საწყობებში:** თათრის მოედანზედ, ქალაქის ფიცრის ფარდულში, იარმუკაზე, ბულდანოვის სახლში, ავლაბრის მოედანზედ ქალაქის ფარდულში და ოლგას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლში.

**ნარდად ყიდვა შეიძლება** ქარხნებში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარ სახლები. ქარხანაში და საკუთარ მაღაზიებში ისყიდება აგრეთვე **ჩენჩო** ძროხებისა და ხარების საკვებად. (10—8)

# მ ე ქ ა რ ხ ნ ე ე ბ ი

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

## ბენდერ-სტეფანოვი

**ტფილისის განყოფილება** სოლოლაკ. ქ. სახ. აღაბაბოვისა.

**ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:**

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.

ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.

სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.

ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.

ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.

სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.

მზა მზარეული სარფინკის ტანისამოსი.

პერანგები კაცისა:

„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.

საცვლები მანდილოსნებისათვის:

პერანგები, კოფთები და კალსონები.

ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35—5)

# ა გ უ რ ი

კაპიტანის მეუღლის ეკატერინე ისაკის ასულის კალატოზიშვილის ახლად გამართულ აგურის ქარხანაში იყიდება რუსული საუკეთესო აგური და ქართულიც **გაცილებით იაფად, ვიდრე სხვა ქარხნებში.** აგურის მყიდველთ შეუძლიანთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: ნორაშენის ქუჩა, სახლი ბადრიძესი № 3. ვთხოვთ მსურველთ, ორი კვირის წინად შემოგვიკვეთონ ხოლმე, რამდენის აგურის ყიდვაც უნდათ. (6—6)